

ენა ჯიჯუბი

**-იან, -ოვან, -ა სუფიქსთა ფუნქციონირების
ტერმინოლოგიურ სიტყვაწარმოებაში**

ახალი სიტყვების წარმოება ტერმინოლოგიურ პრაქტიკაში ძირითადად ენაში არსებული სიტყვაწარმოებითი მოდელების მიხედვით ხდება: დერივაციული მნიშვნელობის მატარებელი აფიქსები დაერთვიან ამა თუ იმ სიტყვას, რომელთანაც დაკავშირებულია ამოსავალი ფუძის საგნობრივი მნიშვნელობა, უცვლიან მას სემანტიკას და ტერმინის მნიშვნელობათა ნაირგვარ ვარიაციებს გვაძლევენ.

როგორც ცნობილია, ქართულ ენას სიტყვის მაწარმოებელ აფიქსთა მრავალფეროვნება ახასიათებს და მდიდარი სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობანი აქვს. სწორედ ეს არის საფუძველი იმისა, რომ ქართული ტერმინოლოგიაც თავისი საკუთარი ენის ხარჯზე ადვილად ახერხებს ამა თუ იმ ცნებისათვის შესატყვისი ტერმინის შექმნასა და აგებას.

ქართულში არსებულ აფიქსთაგან ამჯერად მხოლოდ ერთ ჯგუფზე შევჩერდებით, კერძოდ, **-იან, -ოვან, -ა** (ნაწილობრივ **-ოსან**) აფიქსებზე, და ტერმინოლოგიაში მათი საშუალებით ნაწარმოებ სხვადასხვა სემანტიკურ ჯგუფებს წარმოვადგენთ.

ტერმინოლოგიურ სისტემაში, ისევე როგორც საერთო ენაში, **-იან, -ოვან, -ა** სუფიქსები სინთიმური ფუნქციის მქონეა. ისინი მკონებლობას გამოხატავენ და არსებითი სახელებისაგან ზედსართავენს აწარმოებენ¹:

-იან: არხ-იან-ი

კამერ-იან-ი

ქრომ-იან-ი

канальный

камерный

хромовый

¹ რადგან საკითხი ტერმინოლოგიურ მასალას ეხება, ამიტომ ქართულ შავ-ლითებს მეტი სიზუსტისათვის ყველგან რუსულთან შეპირისპირებით წარმოვადგენთ, რამდენადაც თარგმანის საშუალებით ადვილად ხერხდება კონტექსტის ვარუშე ადეკვატური მნიშვნელობის გათვალისწინება.

ბად-იან-ი	сетчатый
თამას-იან-ი	планковый
კუთხვილ-იან-ი	нарезной...
-ოვან: კუთხ-ოვან-ი	угловатый
კოშტ-ოვან-ი	комковатый
გვირგვინ-ოვან-ი	коронирующий
კუნთ-ოვან-ი	мускульный
ყინულ-ოვან-ი	ледяной
ხაზ-ოვან-ი	линейчатый...
-ა: ნარიმანდ-ა	фальцовый
შვილდ-ა	лучковый
ბეწვა-ა	волосяной, волосной
მრავალრიგ-ა	многорядный
ლარ-ა	лотковый
ერთბიძე-ა	однотолчковый
ნემს-ა	иглистый
შუბლ-ა	лобовой
მრუდთარგ-ა	лекальный
თავბრტყელ-ა	плоскошляпный
ნაოჭ-ა	сборчатый
კბილ-ა	зубовой, зубчатый
მუხლ-ა	коленчатый
ციბრუტ-ა	коловратный
კოშტ-ა	комовой
მართკუთხ-ა	прямоугольный
კლაკნილ-ა	змеевиковый
თეთრგულ-ა	белосердечный
ჭაფქაფ-ა	бурливый
კოვზ-ა	ложечный
და ა. შ.	

ამ აფიქსების ფუნქციური იდენტურობით აიხსნება მათი მონაცვლეობა ერთსა და იმავე ფუძესთან:

ა) -იან -ოვან: თალ-იან-ი, თალ-ოვან-ი	арочный
ძარღვ-იან-ი, ძარღვ-ოვან-ი	жилистый
ლამ-იან-ი, ლამ-ოვან-ი	илистый
ეკლ-იან-ი, ეკლ-ოვან-ი	колючий
ლარ-იან-ი, ლაროვ-ან-ი	желобчатый
ოქრო-იან-ი, ოქრ-ოვან-ი	золотоносный...

-იან -ა:

ორნიშნ-იან-ი, ორნიშნ-ა	двузначный
მრავალძარღვ-იან-ი, მრავალძარღვ-ა	многожильный
წკირ-იან-ი, წკირ-ა	штифтовый
კოჭ-იან-ი, კოჭ-ა	катушечный
მუხლებ-იან-ი, მუხლ-ა	коленчатый
ნაოჭ-იან-ი, ნაოჭ-ა	сборчатый...

-ოვან||-ა:

ნემს-ოვან-ი, ნემს-ა	игольчатый
კბილ-ოვან-ი, კბილ-ა	зубовой
მსხვილმარცვლ-ოვან-ი, მსხვილმარცვალ-ა	крупнозернистый
მრავალწახნაგ-ოვან-ი, მრავალწახნაგ-ა	многогранный
ცეცხლმალ-ოვან-ი, ცეცხლმალ-ა	огнетрубный

და ა. შ.

ზოგჯერ ამგვარი წარმოების სრული პარადიგმაც გვაქვს: ერთსა და იმავე ფუძესთან სამივე აფიქსი მონაცვლეობს ისე, რომ ეს მონაცვლეობა ამ სიტყვათა სემანტიკურ დიფერენციაციას არ იწვევს:

ბ) -ა||იან||-ოვან:

ბურთულ-ა, ბურთულ-იან-ი, ბურთულ-ოვან-ი	шаровой
მილ-ა, მილ-იან-ი, მილ-ოვან-ი	трубчатый
მუშტ-ა, მუშტ-იან-ი, მუშტ-ოვან-ი	кулачковый
კბილ-ა, კბილ-იან-ი, კბილ-ოვან-ი	зубовой
სამწახნაგ-ა, სამწახნაგ-იან-ი, სამწახნაგ-ოვან-ი	трехгранный
ნემს-ა, ნემს(ებ)-იან-ი, ნემს-ოვან-ი	игольчатый

და ა. შ.

ზემოჩამოთვლილი მაგალითები მქონებლობის აღმნიშვნელ ამ აფიქსთა სინონიმურობას ცხადყოფენ.

მიუხედავად ამისა, მქონებლობის ამ აფიქსებს ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ერთნაირი ფუნქციური დატვირთვა და მოხმარების სფერო არა აქვს. ასე, მაგალითად, თანამედროვე სალიტერატურო ენაში ამ მაწარმოებელთა რეალიზაცია ყოველთვის თანაბრად არ ხდება:

ა) -იან ტიპით წარმოება დღეს თანდათან იფართოებს გზას მაშინ, როდესაც -ა და -ოვან-სუფიქსებიანი წარმოება მქონებლობის მნიშვნელობით სულ უფრო და უფრო ნაკლებ პროდუქტიული ხდება. ასპექტუალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ მათი (განსაკუთრებით ეს -ოვან სუფიქს ეხება, შეხამება ფუძესთან განსაზღვრულია: იგი ძირითადად ქართული წარმოშობის (ან ქართულში ძველთაგანვე შე-

სისხლბორცებულ) ერთ- ან ორმაცვლიან ძირებს დაერთვის. იშვიათია ამ სუფიქსით რთული და უცხო წარმომავლობის ფუძეების გაფორმება და, თუ ამგვარი წარმოება გვაქვს, ასეთი სახელები შეტწილად ტერ-მინოლოგიურია²: აირ-ოვან-ი, კაჟმიწ-ოვან-ი, კალიუმ-აზოტ-ოვან-ის-ი, თიოფოსფოროვან-ანჰიდრიდი და სხვ.

ბ) შეინიშნება ერთგვარი დიფერენცირება ამ აფიქსთა ხმარების ველის თვალსაზრისითაც: ყველა შემთხვევაში ამ მაწარმოებელთა თავისუფალი მონაცვლეობა ვერ ხერხდება. მაგ.:

I. -იან:

ბაქნ-იან-ი

платформенный [არ ითქმის:

[ბაქნ-ოვან-ი ან ბაქან-ა]

ზონრ-იან-ი

шнуровой

ვად-იან-ი

срочный

ნარანდ-იან-ი

шпунтованный, шпунтовый

მუზარად-იან-ი

шлемовой

პეწ-იან-ი

глянцевый

სახ-იან-ი

узорчатый

ხალ-იან-ი

ворсовый

და სხვ.

II. -ოვან:

ბუნდ-ოვან-ი

туманный

ერთგვარ-ოვან-ი

однородный

სურნელ-ოვან-ი

душистый

ღრულ-ოვან-ი

скважистый

ტალღ-ოვან-ი

волнистый

მარცვლ-ოვან-ი

зернистый

ფის-ოვან-ი

смолистый

და სხვ.

III. -ა:

სამკაპ-ა

тройник

მუდმივ-ა

константа

ხვეულ-ა

завяток

მაგდებელ-ა

выколотка

მწიბ-ა

легковес

ქანქარ-ა

маятник

შუქურ-ა

маяк

მკვნეტარ-ა

кусачки

² მ. ტუხუაია, სინონიმური მნიშვნელობის სიტყვასწარმოებელ აფიქსთა სწავლების საკითხები: თსუ შრომები, ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნ. სერია, 1984, ტ. X, გვ. 102—103.

შვეთარ-ა
 შეავ-ა
 გლინულ-ა
 ცვილულ-ა
 ბუშტ-ა

ЗОЛОТНИК
 КИСЛОТА
 КАТАНКА
 ВОСКОВКА
 груша³ და ა. შ.

ამგვარად, ზემოთ მოყვანილ მაგალითებში დასახელებულ სუფიქსთა გამოყენება ერთგვარი სტაბილურობით ხასიათდება: ისინი ერთადერთ შესაძლებელ კომბინაციას ქმნიან შესაბამის ფუძეებთან და მათი ურთიერთთანაცვლება თითქმის არ ხერხდება.

დღევანდელ სალიტერატურო ქართულში აშკარად შეიმჩნევა სიტყვაწარმომქმნელ აფიქსთა ფუნქციების გაფართოებისა და იმავდროულად ფუნქციური დიფერენციაცია ტენდენცია. აკ. შანიძე შენიშნავს, რომ -ა სუფიქსი კინობითობასთან ერთად მქონებლობის წარმოდგენას გვაძლევს გარკვეული ტიპის სახელებში და ეგვევ მაწარმოებელი გამოყენებულია მგავსების აღსანიშნავად⁴. მართლაც, ამჟამად მოქმედ დერივაციულ აფიქსთაგან ყველაზე მრავალფუნქციონარია -ა სუფიქსი⁵, რომელიც, გარდა მქონებლობისა, სხვა მნიშვნელობითაც გამოიყენება არა მხოლოდ სალიტერატურო ენაში, არამედ ტერმინოლოგიაშიც:

ა) აწარმოებს არსებითი სახელის კინობითს ფორმებს. მაგ.:

ცვილულ-ა
 ბუშტ-ა
 ბურთულ-ა
 ხერხუნ-ა
 ბუშტულ-ა
 წვეტ-ურ-ა
 ხრუტუნ-ა

восковка
 кулачок
 шарик
 ножовка, пила-ножовка
 пузырьек
 щипец
 храп, храповик

³ ზემოთ დასახელებული მაგალითები 1977 წ. გამოცემული ტექნიკური ტერმინოლოგიიდანაა მოყვანილი და ზველა ცალკეულ შემთხვევაში წყაროს აღარ მივუთითებთ.

⁴ აკ. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953, გვ. 127.

⁵ იხ. ა. შანიძე, -ა სუფიქსის სიტყვაწარმოებითი ფუნქციები: ქელს, 1974, № 1, გვ. 24; ალ. შანჭგალაძე, ა ხმოვანზე დაბოლოებული ზოგა სახელის ფუძის აგებულებისათვის ქართულში: დ. გულიას სახ. აფხაზეთის ენის. ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის შრომები, სოხუმი, 1954, ტ. XXV, გვ. 273; ფ. შაკალაძე, -ა სუფიქსის მასუბსტანტავენებელ-მატაონიმებელი ფუნქციისათვის ქართულში: „ონომასტიკა“, I, თბ., 1987, გვ. 106—110; ნ. ტუსკია, სახელთა წარმომქმნელი ზოგიერთი აფიქსის ფუნქციები და გავრცელებულობა თანამედროვე ქართულში: ქელს, 1969, № 1, გვ. 26; მისივე: სინონიმური მნიშვნელობის სიტყვაწარმოებელ აფიქსთა სწავლების საკითხები, თსუ შრომები, 1984, ტ. X, გვ. 100—105.

გვირგვინ-ა	стежок
კუბურ-ა	кубик
ხმობილ-ა	сушки
კიდულ-ა	висюлька
მსხვრეულ-ა	дробленка
ირიბ-ა	косяк
ჭექუნ-ა	хлопушка
ვარსკვლავ-ა	звездочка
ხარატულ-ა	оточка
სანთურ-ა	горелка
ფრჭვევან-ა	форсунка
ხვეულ-ა	завиток
შახტურ-ა	шахтерка
მილიმეტრულ-ა	миллиметровка

და ა. შ.

ბ) აღნიშნავს მსგავსებას რაიმე საგნისას სხვა საგანთან. მსგავსება შეიძლება იყოს ფერის, მოყვანილობის ან სხვა რაიმე ნიშნის მიხედვით. მაგ.:

ვერცხლ-ა (ფოლადი)	сталь-серебрянка
წვირ-ა (ლურსმანი)	деревянный гвоздь
ფუნჯ-ა (ფესვი)	мочкованный корень
ბეწვ-ა (ხერხი)	лобзик
ცვილ-ა (ქალაღი)	восковка
ფიფქ-ა (გრაფიტისა)	графитовая спель
კრაალ-ა (თუთიისა)	цинковая обманка
ტაბიკურ-ა	костыль
ლურჯ-ა	синь
თეთრ-ა	белила
ყვით-ა	желть
მწვან-ა	зелень
ღარიშხანწით-ა	красный мышьяк

და სხვ.

ა) აწარმოებს არსებითებს ზედსართავებისაგან:

სამკაბ-ა	тройник
შვეულ-ა	отвес
საცეხველ-ა	крушилка
ყვინთ-ა	плунжер
მკენეტარ-ა	кусачки
სადუღარ-ა	кипятильник

საპობელ-ა	КОЛУИ
ირიბულ-ა	КОСОВИЧНИК
ცხაურ-ა	РЕШЕТКА
თვითწრთობილ-ა	САМОКАТКА
საქერელ-ა	ДЕРЖАВКА
სანიჩბელ-ა	ВЫГРЕБАЛКА
ფუჭვილ-ა	РАКОВИНА
კლაკნილ-ა	ЗМЕЕВИК

და სხვ.

დ) მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვებზე დართვისას გამოხატავს თვისებას:

ჭრიალ-ა	ТРЕЩЕТКА
მქნევარ-ა	МАХОВИК
სრიალ-ა	ЛЫЖА
ბზრიალ-ა	ВОЛЧОК
ტრიალ-ა	ВЕРТУШКА
ღრიალ-ა	РЕВУН
ბარბაც-ა	ШАТУН
ტივტივ-ა	ПОПЛАВОК
ქანქარ-ა	МАЯТНИК
ციმციმ-ა	МИГАЛКА
ხოხიალ-ა	ДРАЙКА
მწვავეტარ-ა	ПРЕРЫВАТЕЛЬ
შუშხუნ-ა	РАКЕТА

და სხვ.

როგორც ვხედავთ, -ა, -იან, -ივან აფიქსთა შემოდასახელებული ეს ტენდენციები სალიტერატურო ქართულში, ე. ი. მათი ფუნქციური განვითარება ტერმინოლოგიურ ლექსიკაშიც იჩენს თავს: ამ აფიქსებით არა მხოლოდ მქონებლობა გამოიხატება, არამედ ყველა ის ნიუანსი, რომლებიც მას საერთო ქართულში აქვს. უფრო მეტიც, ტერმინოლოგიური მასალის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ტერმინოლოგიაში ამ აფიქსთა ფუნქციური გაფართოება კიდევ უფრო მეტი ინტენსივობით ხდება და მეტი სისტემურობით ხასიათდება. ასე, მაგალითად, სოფლის მეურნეობის მექანიზაციაში და ტექნიკის სხვა დარგებშიც -ა სუფიქსი რეგულარულად გამოიყენება სათბიექტო მიმღეობისაგან მანქანების, აპარატების, აგრევატების, ხელსაწყოებისა და სხვა იარაღების დასახელებლად:

საბეკნელ-ა, სატკეპნელ-ა (იარაღი)	трамбовка (орудие)
საბერტყელ-ა	вытряхиватель
სარხეველ-ა	трясилка
საბიძველ-ა	толкатель
საბნეველ-ა	рассиватель
საბრუნებელ-ა	ворошилка
საბურღველ-ა	сверлилка
სავლინველ-ა	каталка
სავორეველ-ა (მანქანა)	горка (машина)
სადრესელ-ა, საფშვნეტელ-ა	терка
საზეველ-ა	таль
სათეველ-ა	сеялка
სათიბელ-ა	сенокосилка, косилка
სათრეველ-ა	волокуша
საკაწრელ-ა	чертилка
საკეპელ-ა	шинковка, шинковальная машина
საკეტელ-ა, სარეკელ-ა	защелка
საკვეთურ-ა	лемешок, паральник
სამსხვრეველ-ა	дробилка
საპენტელ-ა	трепалка
სარეცხელ-ა	промывалка
სასვრეტელ-ა	дрель
სატყლეფელ-ა	плющилка
საფანტელ-ა	швырялка
საფრქვეველ-ა	опыливатель
საქრეველ-ა	февка
საჭერელ-ა	державка, держалка
სახვეტელ-ა	сгребалка
სახვრეტელ-ა	пробойник

და სხვ.

დასახელებული ტერმინები ორსიტყვიანი გამოთქმების შეკუმშულ ფორმას წარმოადგენს, რომელშიც სათანადო არსებითის დაკარგვის შემდეგ ეს ფუნქცია -ა სუფიქსმა იკისრა და აღწერილი ფორმის ნაცვლად ერთსიტყვიანი ტერმინი გაჩნდა (საბეკნელი მანქანა → საბეკნელი, სატკეპნელი იარაღი → სატკეპნელი და სხვ.).

6 იხ. ვ. ლ. მ. ი. ა. ქ., სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტერმინოლოგია, თბ., 1962.

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ქართულში ყველაზე მეტად გავრცელებულია -ა სუფიქსით ნაწარმოები ქონება-მსგავსება-თვისების გამომხატველი სახელები⁷, რომლებიც შეუზღუდავად გამოყენებული სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიაში. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მემცენარეობის, მეფრინველეობის, ენტომოლოგიისა და იქთიოლოგიის ტერმინოლოგიები, სადაც უპირატესად საგანთან მსგავსების (ფურის, გემოს, ფორმის ა. შ.), მიხედვით დათვისების, ან დანიშნულების მიხედვით შექმნილი სახელები გვხვდება. ასე გაჩნდა:

მ ე მ ც ე ნ ა რ ე ბ ა შ ი :

ა) აბრეშუმ-ა

ქალამან-ა

ბაბუაწვერ-ა

მათრახ-ა

საათ-ა

კელაპტარ-ა

თავკომბალ-ა

მუხარად-ა

წინწკალ-ა

მაკრატელ-ა

ვაციწვერ-ა

ბოლოკ-ა

მრავალძარღვ-ა

სანთელ-ა

повилика

башмачки, Адамова трава

одувачик

найда

гибискус

заразиха

мордовник

щлемник

гипсолюбка

калепина

ковыл

репница

подорожник

марьянник

და სხვ.

ბ) თავშავ-ა

ძირშავ-ა

შავბალახ-ა

შავჯაგ-ა

შავწამალ-ა

თეთრეკალ-ა

თეთრყვავილ-ა

თავთეთრ-ა

ძირთეთრ-ა

душица

скорпионер, черный корень

пустырник

крушина

норичник

дереза, лазун

подснежник

бухарник

пастернак

7 თ. ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი, -ა ხმოვანზე დაბოლოებულ სახელოო საკითხი-სათვის: ქსკ, IX, 1989, გვ. 225.

თავწათელ-ა	გომფრენა
ძირწითელ-ა	красный корень
ჭიაფერ-ა	лаконос
ძირყვითელ-ა	золотая печать
ოქროცოცხ-ა	сухоцвет
გულყვითელ-ა	ноготки
გულსოსან-ა	коровяк тараканий
ნარცეცხლ-ა	василек
ნაცარ-ა	жабник
ოქროწვერ-ა	златобородник
ყვითელთავთავ-ა	душистый колосок
ლურჯეკალ-ა	синеголовник
ხვევრცხლ-ა	серебряное дерево
თავცეცხლ-ა	пикульник, жабрей, зябра
ღვინ-ა	рябчик
	და სხვ.
გ) შალამწარ-ა	дикая черешня
ძირმწარ-ა	грузинский кирказон
ძირტკბილ-ა	лакрица
ძირშაქარ-ა	сахарник
თაფლ-ა (გოგრა)	мускусная тыква
ქუნწშაქარ-ა	кофетное дерево
შხამ-ა	чемерица
ნაღველ-ა	горечавка
პირშეშხ-ა	хрен
შეაველ-ა	кислица
შეაუნ-ა	щавель
მახრჩობელ-ა	щучка
სოკონწარ-ა	горькушка
	და ა. შ.
დ) ირმისხალ-ა	серпуха
დათვიმარწყვ-ა	псорался
დათვიმხალ-ა	молокаи
კატაბალახ-ა, ვალერიანა	лекарственная валериана
კატაბარდ-ა	ломонос
დათვისთხალ-ა	медвежий орех
მარიამსხალ-ა	обыкновенная спыть
მარიამსაკმელ-ა	гармала, дикая рута

ძალღუჭრძენ-ა	дильный паслен
ძალღმაყვალ-ა	сизая сжевика
ძალღნიორ-ა	птицемлечник
დედაფუტკარ-ა	чистец
ცხერის წივიან-ა	овечья овсяница
ცხენისწაბლ-ა	конский каштан

და სხვ.⁸

მ ე ფ რ ი ნ ვ ე ლ ე ო ბ ა შ ი

ა) თერძ-ა	портниха
ნელოტ-ა	лысуха
მწყერჩიტ-ა	копёк
თოხიტარ-ა	длиннохвостая синица
თროფენ-ა	ходулочник
ლორიხვ-ა	гагара
ფეიქარ-ა	ткачик
კოჭობ-ა	чечевица
ნამგალ-ა	стриж
ნისკარტმარწუხ-ა	клест
ნაგაულ-ა	челнохвост
ცულთავ-ა	тулик
ჩიბუხ-ა	бекас
ვვაჯ-ა	пыжик
ნისკარტნამგალ-ა	серпоклюв
ჩიტბატონ-ა	щёголь

და სხვ.

ბ) ბოლოქანქარ-ა	трясогузка
ლობემძვრალ-ა	крапивник
წივწივ-ა	синица
ტივტივ-ა	плавунчик
მურტალ-ა	поганка
ბუტბუტ-ა	бормотушка
მომღერალ-ა	певун
ჭორიკან-ა	болтун
წკრიხლ-ა	звонарь
მქირდავ-ა	пересмешка

⁸ ალ. შაყაშვილი, სასოფლო-სამეურნეო ტერმინოლოგია, I, მემცენარეობა, თბ., 1938; შიხიძე: ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1961.

კირკიტ-ა
ქორცქვიტ-ა

пустельга
тювик
და ა. შ.

გ) ბოლოცეცხლ-ა
გულწითელ-ა
მწვანულ-ა
ბოლოწავ-ა
თოლი-ა
თვალთეთრ-ა
ცისფერგულ-ა
ბოლოლურჯ-ა
შავულ-ა
შავწარბ-ა

горихвостка
зарянка, малиновка
зеленушка
рябинник
чайк'a
очешница
варакушка
синехвостка
кулик, черныш
чернобровка
და სხვ.⁹

ენტომოლოგიაში:

ა) ბზუალ-ა
მზომელ-ა
ლაშქარ-ა
ცვივრგობელ-ა
ბენძლურ-ა
მხერხავ-ა
წვიმელ-ა
ჭახჭახ-ა
ჭრიჭინ-ა
ხარაბუხ-ა
თადიდი-ა
კუდალ-ა
მჭრეთელ-ა
ტაცუნ-ა
ისარ-ა
კუდფეხ-ა
მყრალ-ა
მჭედელ-ა

жужелица
пяденица
окопник
долгоносик
толстянка
пилильщик
дождёвка
трещетка
сверчок
усач
головач
хвосташка
сверлило
шелкун
стрельчатка
ногохвост
вонючка
чеканщик
და სხვ.

⁹ შირ. კუტუბიძე, ფრინველების ნომენკლატურული ტერმინოლოგია, თბ., 1973; ივ. ჩხიკვიშვილი, საქართველოს ხერხემლიანთა ნომენკლატურა, თბ., 1926.

ბ) ზოლოწითელ-ა	краснохвост
წითელკისერ-ა	красношейка
ყვითელ-ა	желтушка
ოქროთვალ-ა	златоглазка
ყვითელკუდ-ა	желтогузка
თავლურჯ-ა	синеголовка
თეთრულ-ა	белянка
მწვანეთვალ-ა	зеленоглазка
შავტან-ა	черпотелка
ფრთხურელ-ა	пестрокрылка
ცისფერ-ა	голубянка

და ა. შ.¹⁰.

ი ქ თ ი თ ლ ო გ ი ა შ ი :

ა) თავკომბალ-ა	пуголовка
ზოლოქნარ-ა	лирохвост
ნაფოტ-ა	плотва
წვერ-ა	усач
სალამურ-ა	минога
ტაფელ-ა	горчак
მახათ-ა	колюшка
ზოლოლეჩაქ-ა	вуалехвост
ცხენოსდინგ-ა	слонорыл
ნემსმუცელ-ა	иглобрюх
ნემსთევზ-ა	игла
გველთევზ-ა	угорь

და სხვ

ბ) ქრიალ-ა	касатка
თაღლით-ა	уклейка
თევზქრიალ-ა	скрипун
ღლაბუტ-ა	налим
მარდულ-ა	быстрянка
ბუზლუნ-ა	ворчун
ლორმუცელ-ა, სვია	обжора
რბილთევზ-ა	мягошькая

და ა. შ.

¹⁰ ალ. კალანდარიძე, გ. ბაქრაძე, სასოფლო-სამეურნეო ტერმინოლოგია, II, ენციკლოპედია, თბ., 1938.

გ) თეთრთვალ-ა	белоглазка
თევზთეთრ-ა	белорыбыца
ლურჯ-ა	синец
ლურჯთვალ-ა	синеглазка
ლურჯზურგ-ა	синеспинка
ბოლოყვითელ-ა	желтохвост
ყვითელლოყვებ-ა	желтощец
ჭრელფარფლ-ა	пестрокрылка
ჭრელურ-ა	пестряк
ოქროსთვალ-ა	золотоглазка
წითელჩინახვ-ა	краснозобик
წვერწითელ-ა	краснобородка
ფარფლწითელ-ა	краснопёрка
თევზწითელ-ა	краснуха
მწვანულ-ა	зеленушка
შავულ-ა	черна
შავფარფლ-ა	чернопёрка
შავფაფარ-ა	черногривка

და სხვ¹¹.

-ა-სუფიქსიანი წარმოების კიდევ უფრო საინტერესო შემთხვევები გვხვდება მემცენარეობასა და ზოოლოგიის (მეფრინველეობა, ენტომოლოგია) ტერმინოლოგიებში, სადაც ეს სუფიქსი სხვა სინონიმურ სუფიქსებთან კომბინაციაში არსებითი სახელების საწარმოებელ მყარ მოდელს ქმნის.

მაგ.:

-იან + ა

-ოვან + ა

-ოსან + ა

-იან + ა:

ა) ზოოლოგიის — თევზების სახელთა წარმოებისას, როცა განსაკუთრებულად ხაზგასმულია ამა თუ იმ ნიშანზე მითითება:

ლაშებ-იან-ა

губан

კბილ-იან-ა

зубатка

ეშვ-იან-ა

клькач

მცირეპირ-იან-ა

малорот

მეჭკე-იან-ა

бородавчатка

¹¹ ა. ჯანაშია, თევზების ნომენკლატურა, I, თბ., 1975.

კავრქ-იან-ა	крючкорог
ჯავშნ-იან-ა	панцирник
თევზბაწრ-იან-ა	нитенос
შეზრდილლაყუნ-იან-ა	слитнoжаберник
ჯვრ-იან-ა	крестовка

და ა. შ.

ბ) ე ნ ტ ო მ ო ლ ო გ ი ა შ ი — მწერების სახელწოდებათა საწარმოებლად, როცა სხვა საგანთან მსგავსებასა და თვისების მქონებლობაზეა მინიშნება:

ღუყ-იან-ა	слюневая пенница
შინაფრთ-იან-ა	стеклянная
ცრუფარ-იან-ა	червец
ფარ-იან-ა	щитовка
ბოლორქ-იან-ა	рогохвост
პეწ-იან-ა	златка
ცეც-იან-ა	ощупник
ჩალთ-იან-ა	чехлоноска
ფრთაყუთხ-იან-ა	углокрыльница
კუდფეხ-იან-ა	хвостоножка

და სხვ.

გ) მ ე მ ც ე ნ ა რ ე ო ბ ა შ ი — მცენარეებში ამა თუ იმ ნივთიერების შემცველობის გამოსახატავად:

რძ-იან-ა	молочай
ცვილ-იან-ა	восковник
შვრ-იან-ა	овсец
კურკ-იან-ა	костянка
მტვრ-იან-ა	тычинка
ფრთ-იან-ა	крылатка
ცვრ-იან-ა	росянка

და სხვ.

-ოვან-ა:

ა) ს ო ფ ლ ი ს მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს ტერმინთა საწარმოებლადაც, როცა მსგავსებისა და რაიმე თვისების მქონებლობის გამოხატვაა საჭირო:

რქ-ოვან-ა	роговица
ფის-ოვან-ა	смолка
სოკ-ოვან-ა	мицелий

ქერცლ-ოვან-ა
ლორწ-ოვან-ა

чешуйница
слизистая оболочка
და სხვ.

ბ) ტ ე ქ ნ ი კ უ რ ტ ე რ მ ი ნ თ ა აღსანიშნავად, რომლებშიც რაიმე ნივთიერების შემცველობაზეა მითითება:

კაუ-ოვან-ა
ნოსლ-ოვან-ა
თიხ-ოვან-ა
კაუჩუკ-ოვან-ა
შარდ-ოვან-ა
წებ-ოვან-ა
ქარს-ოვან-ა
მინაბოქკ-ოვან-ა

кремнезём
дымка
глинозём
каучуконос
мочевина
клейковина
слюдаинит
стекловолокнит

-ოსან-ა:

ა) ზ ო ო ლ ო გ ი ა შ ი თევზების სახელწოდებათა აღსანიშნავად, როცა მითითებულია ამა თუ იმ ნიშნის მქონებლობაზე:

წვერ-ოსან-ა
რქ-ოსან-ა
ლოყარქ-ოსან-ა
ჯვარ-ოსან-ა
ტურ-ოსან-ა
ჯავშნ-ოსან-ა

бородатка
рогатка
щекорог
крестовка
губан
броняк

და ა. შ.

ბ) მ ე მ ც ე ნ ა რ ე ო ბ ა შ ი მცენარეთა სახელების საწარმოებლად:
ბუშტ-ოსან-ა

пузырчатка...

გ) ე ნ ტ ო მ ო ლ ო გ ი ა შ ი მწერების სახელთა საწარმოებლად, როდესაც რაიმე საგანთან მსგავსებაზეა მინიშნება:

ფარ-ოსან-ა
ფრაც-ოსან-ა

щитоноска
фрачник

დ) მ ე ფ რ ი ნ ვ ე ლ ე ო ბ ა შ ი ფრინველების სახელთა საწარმოებლად, როდესაც ამა თუ იმ ნიშნის მქონებლობა და სხვა საგანთან მსგავსება გადმოიციემა:

აღმ-ოსან-ა
ქოლგ-ოსან-ა
წვერ-ოსან-ა

знаменьщик
головач
бородатка

ჯილ-ოსან-ა
ფარ-ოსან-ა

КОНЮГА
ЩИТОНСКА
და სხვ.

როგორც ვხედავთ, -ა სუფიქსით წარმოქმნილი სახელები შეიძლება ხელახლა ვაწარმოთ ახალი მნიშვნელობით. თრგზის ან სამგზის ნაწარმოებ სახელში წინ წამოწყულია წინამდევალი აფიქსის ძირითადი ფუნქცია, ხოლო -ა სუფიქსი მასუბსტანტივების როლში გვევლინება¹².

ამგვარად, -ა, -იან, -ოვან აფიქსებით სიტყვათა წარმოება, მათი ფუნქციური მონაცვლეობა და ხმარების არის ვაფართოება, რასაც ვხვდებით საერთო ქართულშიაც და ტერმინოლოგიურ სისტემაშიც. ამ უკანასკნელში (ე. ი. ტერმინოლოგიურ სისტემაში) შეუზღუდავინტენსიურობით ხასიათდება არა მხოლოდ იმიტომ, რომ ტერმინოლოგიაში ისინი რიცხობრივად (სიხშირის თვალსაზრისით) მეტად გამოიყენება, არამედ იმიტომაც, რომ ამ ორ განსხვავებულ სისტემაში მათ განსხვავებული ფუნქციები ეკისრებათ.

სალიტერატურო ქართულისა და ტერმინოლოგიური ლექსიკის სიტყვაწარმოებელი საშუალებების ფუნქციური დაპირისპირების საჩვენებლად შეგვეძლო დაგვესახელებინა -იან და -ოვან აფიქსების ხმარების შემთხვევები, ერთი მხრივ, სალიტერატურო ქართულში და, მეორე მხრივ, პოტანციურსა და ზოლოთგიურ ტერმინოლოგიებში¹³.

ცნობილია, რომ ზოოლოგიაში ცხოველთა კლასიფიკაციის ტაქსონომიური ერთეულები გამოიყოფა: გვაქვს ცხოველთა სახეობები; მსგავსი სახეობები ერთიანდებიან გვარებად, გვარები — ოჯახებად, ოჯახები — რიგებად, რიგები — კლასებად, კლასები კი — ტიპებად, ე. ი. ცხოველთა სამყაროს ყველაზე მსხვილი ჯგუფია ტიპი. ერთ-ერთი ასეთი საკლასიფიკაციო ტაქსონომიური ერთეულის გადმოსაცემად -იან, -ოსან აფიქსებია გამოყენებული, რომელთაც სიმრავლის აღსანიშნავად -ნ ან -ებ სუფიქსი ერთვის:

ბერბემლ-იან-ებ-ი	позвоночные
ხოროტმ-იან-ებ-ი	хоботные
ხელფრთ-იან-ებ-ი	рукокрылые
ფეხაპკ-იან-ებ-ი	лапчатогоги
ნისკარტთავ-იან-ებ-ი	клювоголовые
მტევანფარფლ-იან-ებ-ი	кистеперые

¹² მ. ტუსკია, ა სუფიქსის ფუნქციები სახელებში: თავ შრომები, 1974, ტ. 8—9, გვ. 250.

¹³ რ. დამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბ., 1986, გვ. 138.

ჭერცლფრთ-იან-ებ-ი
 ღარკბილ-იან-ებ-ი
 ნაპრაღლაყუჩ-იან-ებ-ი
 რგოლსაცეცებ-იან-ებ-ი

чешуекрылые
 бороздчатозубые
 щележаберные
 кольчатощуниковые
 და სხვ.

ქაჩაჩ-იან-ნ-ი
 ერთღლ-იან-ნ-ი
 ორფრთ-იან-ნ-ი
 ბადეფრთ-იან-ნ-ი
 ქერცლ-იან-ნ-ი
 ჭერცლფრთ-იან-ნ-ი
 ნრავალშოლტ-იან-ნ-ი

непарнокопытные
 поденки
 двукрылые
 сетчатокрылые
 чешуйчатые
 чешуекрылые
 многожгутиковые
 და სხვ.

როგორც ცნობილია, აფიქსთა ეს მაკლასიფიცირებელი ფუნქცია საკუთრივ ტერმინოლოგიური ფუნქციაა, რაც მათ საერთო სალიტერატურო ქართულში არ გააჩნიათ.

ამგვარივე „სპეციალიზება“ აფიქსებისა შეიძლება დავადასტუროთ სხვა ტერმინოლოგიის მასალაზედაც, კერძოდ, -ოვან და მასთან ფუნქციურად ახლოს მდგომი -ოსან სუფიქსების ხმარებისას ბოტანიკის ტერმინოლოგიაში: ეს აფიქსები მრ. რიცხვის მაწარმოებელთან შეცნარეთა საკლასიფიკაციო ნიშნებადაა გამოყენებული, მაგ.:

მარცვლ-ოვან-ნ-ი
 წიწვ-ოვან-ნ-ი
 კურკ-ოვან-ნ-ი
 ნარინჯ-ოვან-ნ-ი
 ციტრუს-ოვან-ნ-ი
 თესლ-ოვან-ნ-ი
 ყვავილ-ოვან-ნ-ი
 ქოთან-ოვან-ნ-ი
 კენკრ-ოვან-ნ-ი
 კაუჩუკ-ოვან-ნ-ი
 აბეღ-ოვან-ნ-ი
 ყუნურუკ-ოვან-ნ-ი
 პარკ-ოსან-ნ-ი
 ჯვარ-ოსან-ნ-ი
 ქოლგ-ოსან-ნ-ი
 ტარ-ოსან-ნ-ი
 გირჩ-ოსან-ნ-ი

злаки
 хвойные
 косточковые
 померанцовые
 семечковые
 цветковые
 смолевковые
 ягодковые
 каучуконосные
 трутовые
 мокричные
 бобовые
 крестоцветные
 зонтичные
 початкоцветные
 шишконосные

ტუჩ-ოსან-ნი
ფირფიტ-ოსან-ნი

губоцветные
пłyстинчатые
და სხვ.

როგორც ზემოთ დასახელებულმა მასალამ გვიჩვენა, წარმოების ეს თავისებური საშუალებანი მეტწილად სპეციალური ლექსიკის ამ ფენისთვისაა გამოყენებული, რომელიც საგანთა და რელიოთა ზოგად სახელებს კი არ წარმოადგენენ, არამედ იმ საგანთა თუ ობიექტთა სახეობებსა და ქვესახეობებს, რომლებიც კლასების დაქვემდებარებულ სისტემას ქმნიან, ანუ ე. წ. ნომენებს წარმოადგენენ. ესაა მცენარეთა, ცხოველთა, მწერთა და ა. შ. სახელები.

ამგვარი წარმოებით უზრუნველყოფილია სახელწოდებების სისტემურობა და საგანზე ამა თუ იმ ნიშნის მიხედვით სწორი ორიენტაცია.

საერთო ენისა და ტერმინოლოგიური ლექსიკის საწარმოებელ საშუალებათა გამიჯვნის კიდევ უფრო მკაფიო მავალითები გვხვდება ქიმიის ტერმინოლოგიის მასალაში, სადაც -ოვან და -იან სუფიქსებს „სპეციალიზებული“ ფუნქცია აქირიათ: ქიმაში მქონებლობის აღმნიშვნელი ეს სუფიქსები მეავებში ყანგბადის ატომთა სიმცირე-სიდიდეს გამოსახატავადაა გამოყენებული¹⁴:

შდრ., ერთი მხრივ:

ფის-ოვან-ი	смолистый
ნახშირბად-ოვან-ი	углеродистый
ნახშირ-ოვან-ი	углистый
ქლორ-ოვან-ი	хлористый
ფოსფორ-ოვან-ი	фосфористый

და, მეორე მხრივ:

ფის-იან-ი	смоляной
ნახშირ-იან-ი	угольный
ნახშირბად-იან-ი	углеродный
ქლორ-იან-ი	хлорный
ფოსფორ-იან-ი	фосфорный

და სხვ.

-იან, -ოვან აფიქსთა ამგვარი სემანტიკით დატვირთვა სრულიად უცხოა საერთო ენისათვის. სალიტერატურო ქართულს ამისი საკიროებაც არა აქვს. ტერმინოლოგიაში წარმოების ეს საშუალება ხე-

¹⁴ რ. ღამბაშიძე. ტერმინოლოგიური მუშაობა საქართველოში; ქსკს, 1, თბ., 1972, გვ. 22.

